ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1444044

ნომერი: AR1243535

თარიღი : 11.08.2014

გაცემის თარიღი : 21.08.2014

გაცნობის თარიღი : 25.08.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. აბულაძე , N 32 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. აბულაძე , N 32 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. აბულაძე , N 32 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. აბულაძე , N 32 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. აბულაძე , N 32 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ დვალი პ/ნ 01008000711
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 31

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განმეორებით იქნა განხილული თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან შენობა განთავსებულია ქალაქის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ადგილზე, სადაც ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით და ასევე შენობა ახალი აშენებულია რომელსაც გააჩნია თავისი დასრულებული ჩამოყალიბებული იერსახე , იმისათვის რომ არ დაირღვეს შენობის ჩამოყალიბებული ერთიანი იერსახე საპროექტო ფანჯრის ღიობები უნდა განთავსდეს მარცხენა მხარეს არსებული ფანჯრის ღიობების გასწვრივ და ამავდროულად ზედა სართულბზე არსებული ღიობების გასწვრივ და მათი სიგანის გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაბამის ველში ატვირთულ იქნას განახლებული ფოტომონტაჟი გაბარიტული ზომების მითითბით.

გარდა ამისა გაცნობებთ, რომ ვინაიდან სარეკონსტრუქციო შენობა მიღებულია ექსპლუატაციაში, საჭიროა მოხდეს ყველა საპროექტო ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთის – საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება და განახლებული საბუთის წარმოდგენა, სადაც ფართი აღარ იქნება დაფიქსირებული, როგორც მშენებარე.

აქვე გათვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.